471

№ 400. კვირა, 14 დეკემბერი. 1896—1897 კვირა, 14 დეკემბერი, № 400.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს

ბენეფისი ზ. გედევანოვისა

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება პირველად **ახალი პიესა**

კრიჟანგი

კომედ. 5 მოქმედ. თხზ. მოლიერისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, გარგარელისა, გარელი;

ბ.ბ. მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე რეჟისორი კ. მესხი.

თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამით აცხადებს, რომ კომიტეტი დღეის რიცხვიდამ ორი თვის განმავლობაში, ესე იგი პირველ თებერვლამდის მომავალის 1898 წლისა, მსურველთაგან მიიღებს თავასს თავმჯდომარის სახელობაზე სახელმძღვანელოდ ყოველ-გვარს მოსაზრებას საიუბილეო დღესასწაულის შესახებ.

ადრესი: ქრისტეფორე ოსების ძე მამაცაშვილი, სათავად-აზნაური ბანკში, ტფილისი. (10—8)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან ქართულ წიგნებით მოვაჭრებთან

ი. იმედაშვილისა და ს. ჭელიძის გამოცემა, № 6

დიდ-მოურავიანი

ანუ

გიორგი სააკაძის ცხოვრება

ისტორიული პოემა იოსებ ტფილელისა

წინასიტყვაობით და ავტორის ბიოგრაფიით, სუფთად კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი 104 (86+XVIII) გვ.

ფასი ექვსი შაური

ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის ნაღდ ფულით, მანეთზე დაეთმობა 40%.

წიგნების საწყობი გამომცემელთა წიგნთ-საცავში, გიორგიევის ქ. (ალექს. ბაღის პირდაპირ), არჯევანიძის სახლში, № 12.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Георгіевская, Имедашвили и Челидзе.*

იბეჭდება და მალე გასასყიდად გამოვა **ხალხური პოეზია და მ. კელენჯერიძე**, კრიტიკული წერილი ფ. მახარაძისა. (10—2)

კვირას, 14 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩაზედ) დანიშნულია

საგანგებო კრება

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავალის“

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ მოწვევის ბარათები.

მოვაგონებთ წევრთ ამხანაგობისას წესდების § 21-ის შენიშვნას: „უკეთუ არ შესდგა პირველი კრება, მოწოდებულ უნდა იყოს ორის კვირის შემდეგ მეორე და იგი კანონიერად ითვლება მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრობა მას წილის პატრონი“. (4—4)

შლაპის ქარხანა

დავ. გვახარიასი

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი.

იყიდება ყოველ-ნაირი საკაცო შლაპები

იქვე შეიძლება ძველის გადაასხლება იაფად.

ფასი ყველა არსებულ სავაჭროებზე ორ-სამ მანათით ნაკლებია

Шляпная мастерская

Д. Гвахаріа

Лорисъ-Меликовс. д.
кн. Мухранскаго

Дешевизна, аккуратность и ручательство. (13—2)

გამოვიდა და ისყიდება

ძმათა თავართქილაძეთა ახლად გამოცემული

დრამატიული თხზულება

ავქ. ცაგარლისა

მეორე ტომი, ფასი 50 კაპ.

კედლის კალენდარი

1898 წლის

ფასი 30 კ. (25—2)

---

325 მან.
მან.
მან.

თითქმის სრულებით ახალი

პიანინო

ა. კოხშის ქარხნიდან

(4—1) მოიკითხეთ მიხეილის ქ. № 132

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა.

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. **ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. **ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი **რუდენკო** 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და უცრის ყვავილს.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. **პროტასევიჩი** 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. **კარაპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. **გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. **ბუდინოვი.** 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. **ნავასარდიანცი** 6—6½ ს.

ა. ნ. **შპაკოვსკი** 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ ® ზედაკანის ავად.

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს ნახველს, სისხლს რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница Д-ра *Навасардіана*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია.**

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

მთავრობისაგან ნება დართული

პანსიონი და სასწავლებელი

მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულიძისა

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერატუროვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.

ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.

მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.

პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)

მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

Пансіонъ и училище

Учительницы

Н. Дидебулидзе

Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.

Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ

(150—47)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ «რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

12 დეკემბერი

პარიზი. პანამის საქმე. მთელის სხდომის განმავლობაში მოწმეებს ართმევდნენ ჩვენებას და უსიამოვნობა მოხდა: ბრალდებულებმა არტონს ცილის მწამებელი და მტარვალი უწოდეს, ამას ტაშის კვრით მიეგება სამი ნაფიცი მსაჯული. ეს შემთხვევა საკასსაციო მიზეზს იძლევა.

მელინმა პალატაში და მელლიარმა სენატში წაიკითხეს განკარგულება კრების დახურვის შესახებ.

გემი «პასკალი» გამოვა ტულონიდამ და მიემხრობა იმ გემს, რომელიც აღმოსავლეთში მოგზაურობს.

ტულონი. რუსეთის გემი «სისოი დიდი» შეაკეთეს და გაემგზავრება და მიემხრობა რუსეთის ზღვის ჯარს, რომელიც ამ ჟამად კრიტოსის წყლებზეა.

ახალი ამბავი

⁂ საქველ-მოქმედო კონცერტი «წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოებისა», განზრახული 20 დეკემბრისათვის, გადადებულ იქმნა 21 დეკემბრისათვის. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: სარაჯიშვილისა და გინკულოვისა (მომღერლები) და ბ-ნნი: სარაჯიშვილი (ვიოლონჩელი), კნინა (ფორტეპიანო), ყარაშვილი (ჭიანური), აკაკი წერეთელი, ველიჩკო, კარგარეთელი (მომღერალი) და კავსაძისა და მჭედლიშვილის საერო ხორო. კონცერტის შემდეგ იქნება ცეკვა.

⁂ გაუგებარი შეცდომა. როგორც დღევანდელ ახალ ამბიდან დაინახავს მკითხველი, «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კონცერტი გადაუდვიათ 20 დეკემბრიდან 21-სათვის, სწორედ იმ დღისათვის, როდესაც ქართულმა დასმა წარმოდგენა უნდა გამართოს. ჩვენ სწორედ არ გვესმის ასეთი შეცდომა. საქმე ის არის, რომ ქართულ თეატრის დასს მხოლოდ ერთი კვირა დღე აქვს თვეში, როდესაც შემოსავალს ელის და ისიც თუ ამ გვარის შეცდომებით უნაყოფოდ ჩაატარებინეს, თეატრის გამგე ამხანაგობა ვერ გაუძლებს დასის შენახვის ხარჯს. «წერა-კითხ. გამ. საზოგადოებას» ადვილად შეუძლიან 20-ს ან 22-ს და სხვა დროსაც გამართოს კონცერტი, მომეტებული ბილეთი ხელ-და-ხელ იყიდება და ჩვენი საზოგადოებაც დიდის თანაგრძნობით ეკიდება ხოლმე იმის კონცერტებს, ხოლო ქართული თეატრისათვის ხელის შეშლა არა გვგონია ვისმესთვის სასურველი იყოს, მით უფრო «წერა-კითხვის საზოგადოება» უნდა სიფრთხილით მოეკიდოს ქართულს თეატრს, რომელიც არა ერთხელ მიჰშველებია ხოლმე მას წინა წლებში და შემდეგშიაც შემწეობას არ მოაკლებს. ქართული წარმოდგენის გადადება სხვა დღისათვის-კი არ იქნება. განა რომ გაუგებარი შეცდომაა, და ამიტომ იმედია, «საზოგადოების» მმართველობა თავისს კონცერტს სხვა დროსათვის დანიშნავს.

⁂ ხელოსანთა მოურავის არჩევანი. გუშინ, 13 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ქალაქის ხელოსანთა მოურავის არჩევანი, ამომრჩეველნი სულ 164 კაცი (ამქართა მამასახლისები და ხმოსნ-

ბი) უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ 8 კაცი არ გამოცხადდა და ამიტომ სულ 156 კენჭი ტრიალებდა. არჩევანებს დაესწრო წესიერების დასაცველად ტფილისის გუბერნატორის საგანგებო მონდობილებათა მოხელე თავ. ა. ა. ბებუთოვი. კანდიდატებად ბევრნი დაასახელეს და ყუთი დაუდგეს ათს მათგანს; აი შედეგი: კარ. სერობიანცი—124 თეთრი, 31 შავი; ი. მხეიძე—55 თეთ. 100 შ.; ა. კაზანაძე—48 თეთ. 107 შ.; ფ. როლოვი—56 თ. 99 შ.; თ. რეგერი—36 თ. 119 შ.; კაფთუნენკო—30 თ. 125 შ.; მაისურაძე—55 თ. 100 შ.; მ. რაფაელოვი—34 თეთ. 121 შ.; ბაბიჩი—36 თეთ. 119 შ.; ნაუმენკო—24 თ. 131 შ. ამნაირად არჩეულ იქმნა ისევ ძველი მოურავი კარაპეტ სერობიანცი, ის სერობიანცი, რომელზედაც ამ ბოლო დროს ათას ნაირ სახიფათოს იწერებოდნენ გაზეთებში... «კულტუროსანთა» კანდიდატი იყო... რა გაეწყობა!

⁂ **ოქროს ახალი ხუთ-მანათიანი.** სახელმწიფო ბანკის კასსებში უკვე შემოიღეს სახმარებლად ახალი ოქროს ხუთ-მანათიანები.

⁂ **ოლქის სასამართლოების გამო.** მართლ-მსაჯულების სამინისტროს, თურმე, განზრახვა აქვს შესცვალოს კავკასიაში ოლქის სასამართლოების მოქმედების ადგილები.

⁂ **კავკასიაში სამხედრო სასწავლებლები.** სამხედრო სამინისტრო ამ ჟამად დაწვრილებითს ცნობებსა ჰკრებს სამხედრო უწყების საშუალო და პირველ დასაწყისის სკოლების შესახებ. ამ გარემოებას, ეჭვი არ არის, პირდაპირი კავშირი უნდა ექმნეს კავკასიაში სამხედრო განათლების წეს-რიგის შეცვლასთან.

⁂ **პოლიტეხნიკუმი ოდესსაში.** სატახტო გაზეთები იუწყებიან, რომ მომავალს თებერვალში უნდა გადასწყდეს—დაარსდეს თუ არა ოდესსაში უმაღლესი პოლიტეხნიკუმი.

⁂ **«ნოვ. ობოზ.» რედაქტორის საქმე.** ტფილისის სამოსამართლო პალატა 10 იანვარს განიხილავს გაზ. «ნოვ. ობოზ.» რედაქტორის თ. გ. მ. თუმანოვის საქმეს, რომლითაც მას ჰბრალდება ქ—ნის ბრადოვსკის ცილის წამება თავის გაზეთში. ეგ საქმე ოლქის სასამართლომ უკვე განიხილა და მიუსაჯა თავ. თუმანოვს ფულით დაჯარიმება, ხოლო ეგ განაჩენი მან განასაჩივრა სამოსამართლო პალატაში.

⁂ **მეეტლეთა საყურადღებოდ.** 12 დეკემბერს, ხმოს. ა. ს. ბაბოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომელშიაც იუწყება, რომ მეეტლები, რომელთა ეტლებსაც შირას სალტი აქვთ ბორბლებზე [резиновыя шины] დანიშნულს ნიხრზე მეტს ფასს ახდევინებენ ყველასა და სასურველია, ქალაქის გამგეობამ საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ ეტლებისათვის ერთი და იგივე ნიხრია, გინდ შირასი ჰქონდეს სალტეში და გინდ რკინისა.

⁂ **ჩვენებურ მეხილეთა საყურადღებოდ.** ვის არ მოეხსენება, თუ ჩვენში ხილის ფასი როგორ დაცემულია და ჩვენებურ ძვირფას ხილს სულ უცხოელები ყიდულობენ და ესენი ასაღებენ წვრილად აქა იქ კარგს ფასებში. მთელს ტფილისში ქართველთაგანი არ მოიძებნება არც ერთი ისეთი მეხილე, რომ იმას თავის საქმისა რამე გაეგებოდეს. მართალია, არიან ორიოდე წვრილმანი ბაყლები, მაგრამ იგინიც ღოღიალით ატარებენ თავიანთ საქმეს. ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთის ქართველი ბაყალი, კოტე როსტომაშვილი, რომელსაც დუქანი იარმუკაზე აქვს, მუხრან-ბატონის მამულში, ძლიერ ყოჩაღათ მოქცეულა, წევრათ ჩაწერილა ჩვენს ბანკში. ამას გარდა თავისი ძმა დ. როსტომაშვილი მიუამხანაგებია და ამით რამდენიმე ბაღის ხილი საინგილოში უყიდნიათ და რამდენიმეც სხვაგან. ეხლა აპირებენ, რომ ახალციხისაკენაც წავიდნენ, იქაური ხილიც იშოვნონ და მოიტანონ ქალაქში. გარდა ამაებისა, მათ სურვილი აქვსთ, რომ დიდი ყურადღება მიაპყრონ ქართლის ხილს, ნამეტურ ჯავის ხეობას. მათ სრული იმედი აქვსთ, რომ მათს საქმეში, ქართლის მემამულენი ყურადღებას მიაქცევენ და ჯეროვან დახმარებას მისცემენ, რომ ეგები დღითი დღე ჩვენს შორის რიგიანი, შესმენილი და ჩვენდა ვითარების მცოდნე ვაჭარი ქართველი მეხილეებიც გაჩნდნენ. ეს როსტომაშვილები საკმაოდ შეგნებულები არიან და თუ ღმერთმა ინება, შემდეგში განზრახვა აქვთ, რომ, როგორმე „ქართველთ მეხილეთა ამხანაგობაც“ კი შეადგინონ და მის მეოხებით დაიხსნან მრავალი მემამულენი ზოგი ჩარჩებისაგან და ზოგი კიდევ ხილის მუქთად გადაყრისა და დალპვისაგან. ხილს ჩვენში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, თუ ბაზარი გაეხსნა კარგი. როგორც ამას წინედ გვქონდა მოხსენებული, ეხლა პეტერბურგში და მოსკოვშიაც გააქვთ საინგილოდან ხილი.

⁂ **ერთი საინტერესო წიგნის გამო.** ამ ორის წლის წინედ, როცა ქართველმა საზოგადოებამ დიდის ამბით იდღესასწაულა მხცოვანის პოეტის რ. ერისთავის იუბილეი, მაშინათვე გამოითქვა აზრი—სასურველია, რომ ამ იუბილეის ყოველივე ამბავი დაწვრილებით გამოიცესო, რათა იმათაც შესრულებოდათ სავსებით წარმოდგენა სათვალჩინო დღესასწაულისა, რომელნიც არ დასწრებიან იუბილეის. ამ აზრის განხორციელება, როგორც ვიცით იკისრეს ბ ნ ალ. დოდაშვილმა და ექვ. ხელაძემ—პირველს უნდა შეედგინა წიგნი, მეორეს გამოეცა, მაგრამ აგერ ორე წელიწადი გადის და წიგნისა არა ისმის-რა. იმ დალოცვილებს თუ გამოცემა უნდათ, გამოსცენ ბარემ, თუ არა და შეგვატყობინონ და ჩვენ გამოვსცემთ.

ქართულ გამოცემათა მოყვარე

⁂ **ტფილისში პოლიტეხნიკუმის გახსნის გამო.** იმ კომისსიას, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშავოს პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე, შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ იმ 100 ათასს მანათს, რომელიც გადადებულია პოლიტეხნიკუმის საჭიროებისათვის, მიუმატონ კიდევ 30 ათასი მანათი და ეგ თანხა მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანონ, რომ მით დაიჩქარონ საჭირო ფულის მოგროვება.

17 დეკემბერს კომისსიას კიდევ ექმნება სხდომა და მიიწვევს ბანკების გამგეთა, სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს და საზოგადოდ საპატიო პირთ და ერთად შეიმუშავებენ, თუ რა საშუალებანი უნდა იხმარონ, რომ პოლიტეხნიკუმი უეჭველად და მალე დაარსდეს ტფილისში.

⁂ **ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა მოგზაურობა.** ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს, თურმე, შუამდგომლობა აღუძრავს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის წინაშე, რომ სასწავლებლის 220 მოწაფე 6—7 ჯერ წაიყვანონ ბათომსა და ფოთში და უკანვე ჩამოიყვანონ ქუთაისში რკინის გზით უსასყიდლოდ. ბ. ინსპექტორს განზრახვა აქვს დაათვალიერებინოს მოწაფეებს აღნიშნული ქალაქები და განსაკუთრებით ნავთ-სადგურები. თუ რკინის გზის მმართველობის მხრივ დაბრკოლება არ იქმნა, ეგ მოგზაურობა გაიმართება ან აღდგომის უქმეებში, ანუ ზაფხულის დასაწყისში, როდესაც მოწაფეებს დაითხოვენ საზაფხულოდ.

⁂ **საქონლის ჭირის გამო.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოუგზავნია ტფილისის გუბერნატორისათვის ათას-ათასი მანეთი იმათ დასარიგებლად, რომლების ჭირიანი საქონელიც დახოცილ იქმნა ადმინისტრაციის, ანუ ბეითალის განკარგულებით.

⁂ **ნავთის ფასი.** ეს რამდენიმე დღეა, რაღაც მიზეზის გამო, ნავთის ფასმა შესამჩნევად იმატა.

⁂ **ცეცხლი თამბაქოს ქარხანაში.** 11 დეკემბერს, ნაშუადამევის 2 საათზე, ნიკოლოზ ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ დროზედ შეუტყეს, ცეცხლის მქრობელმა რაზმმა მოასწრო და ჩააქრო. ზარალი მცირე მოსვლიათ. ქარხანა დაზღვეული ყოფილა 40,000 მანათში.

⁂ **სამხედრო-საქართველოს გზის მდგომარეობა.** კობსა და ჯვარს შუა, 12 დეკემბერს დილით 10 საათზე გაუწმენდიათ სამარხილე და საეტლე გზა.

⁂ **ახალი წიგნი:** კანვაზე საკერი ანბანი, გ. ტატიშვილის მიერ შედგენილი, ფასი 40 კაპ. ბ-ნი ტატიშვილი ყოველ წლივ საოჯახო რასმე უძღვნის ხოლმე ქართველ ქალებს. აი ეხლაც შეუდგენია დიდის გემოვნებით კანვაზე საკერი ქართული ანბანი; მთელს წიგნაკში სამის ხასიათის ანბანია და ყველაზე უკეთესია უკანასკნელი გოტიკური ანბანი. ამ ანბანებით თეთრეულობისა თუ სხვა რამის კერვა ძლიერ ადვილია, რადგან ყოველი ანბანი ჯვარედინა ცხრილშია მოქცეული და, არამც თუ გამოცდილს, არამედ სრულებით უცოდინარსაც ეადვილება ამ ხელობით საქმობა. ერთად-ერთი საყვედური, რომელიც ბ-ნ გ. ტატიშვილს ეთქმის, ეგ არის მეტის მეტად დიდი ფასი—ორი აბაზი საიმ ხასიათის ანბანისათვის ძალზე ძვირია, მით უფრო რომ კ. მესხიევის ლიტოგრაფიაში რვეული მარტო ერთის ფერით არის დასტამბული.

⁂ **ფოთი.** † **მაია ფანცულაიასი.** ამ თვის 4-ს გარდაიცვალა აქ ცნობილი ბებია ქალი მაია ფანცულაიასი, რომელსაც ბევრი ამაგი მიუძღოდა ყველასთან. განსვენებული კარგა ხნიერი ქალი იყო—65—70 წლ., მაგრამ ჯერ კიდევ გამრჯე და მშრომელი ადამიანი, რომელიც თვისის გულ-კეთილობით და სათნოიანობით ყველასათვის საყვარელი იყო. დასაფლავებაზე დაესწრო ყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლ, რომელმაც მშვენიერს სიტყვაში დაასურათხატა განსვენებული. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო და ყველამ საუკუნო განსვენება უსურვა!

ლ. გვაჯელი

⁂ **სიღნაღი.** **გაოხრებული ციხე.** ვინ არ იცის, რომ ეგრედ წოდებული სიღნაღის ციხე, სადაც შესაძლებელია დაეტიოს მთელის მაზრის მცხოვრებნი, ერთს უძველესს ძველ ნაშთთაგანს ეკუთვნის საქართველოს წარსულის ცხოვრებიდან... დღეს ეს ციხე ისე გაოხრებული და გატიალებულია, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს. ვინც გინდა და არ გინდა ყველა არღვევს და აქცევს, ქვები გააქვთ და საზოგადოდ ძალზედ ოხრებენ... სასურველია, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

— **სად მიდის განათების ფული?!** ვეჰ იქნა და ჩვენის ქალაქის გამგეობას და მოურავს ჭკუა ვერ ასწავლეს ვერც გაზეთებმა და ვერც ჩვენმა ჩივილმა. ჩვენს ოღრო-ჩოღროიანს ქუჩებს ეს-ღა აკლია, რომ ღამღამობით სინათლე არ იყოს... საზოგადოდ ბ-ნი მოურავი ქართველობას არ გვწყალობს, მაგრამ სწორედ ეკკლესიასთან ერთი ფარანი ჰკიდია, რომელიც დროთა ვითარებისა გამო გვერდზე გადაბრეცილა და ნავთი და პატრუქი თავისს დღეში არ უნახავს... ნეტა ვიცოდეთ—სად მიდის ის ფული, რომელიც საზოგადოდ განათებაზე იხარჯება?

— **გაფუჭებული გზები და ხიდები.** ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია გურჯაანისა და კოლაკისაკენ, იგი უეჭველია საშინელს შიშსა და განსაცდელს გამოივლიდა. ხიდები ისეთს მდგომარეობაშია, განსაკუთრებით ზემო ფიცრულები, რომ კაცი-კი არა, მთელი ურემი გაცვივდება ხარკამბეჩიანად. ნუ თუ არავინ არის პატრონი, რომ დროისით მიაქციოს ყურადღება, სანამ უბედურება არა მომხდარა-რა?

— **გარყვნილობის საბუდარი.** „განათლება“ ყველგან შემოდის და ჩვენი სიღნაღიც, რა თქმა უნდა, უკან არავის ჩამორჩენია. მე მოგახსენებთ იმ «განათლებაზე», რომელიც ყოველივე უკეთურობით და უნამუსობით იწყობა. აქ ჩვენში არის ერთი დუქანხანა, სახელად «არარატი», რომელიც ჩვეულებრივ «კულტუროსანთაგანს» უჭირავს. ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სისაძაგლე ხდება ამ დუქანში—ნამდვილი სოდომ-გომოროა... გარყვნილობის საბუდარია, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდს შემოსავალს აძლევს დუქნის პატრონს. ეს დუქანი სწორედ გზის პირას არის, სადაც ყოველ-დღე დიდი მოძრაობა ხოლმე ყველა გარეშემო
სოფლებიდან. ვინ არ იცის საზო
დოდ გლეხი-კაცის გაჭირვებუ
მდგომარეობა. სოფლელი დედა
ცები ქალაქში ჩამოდიან და ჩამ
აქვთ სხვა-და-სხვა ან ხელ-საქმე,
ფრინველი, ან კვერცხები გასასყ
დად. ამ დუქანს არვინ ასცდება
„კულტუროსანი“ საქმეს იჩარხე
ხოლმე: დაუხვდება სოფლის დედ
კაცს და დაუწყებს ჭკუის სწავლება
ასე ისეო. ერთი-ორი დღე რომ დ
რჩე ჩემთან, ფულსაც იშოვნი
ოჯახსაც რასმე შეჰმატებო და რ
თქმა უნდა, ერთის მხრით გაჭირვე
ბა, მეორეს მხრივ უხასიათობა
„კულტუროსანის“ მოქარგული ენ
ბევრს მსხვერპლს ჰქმნის ხოლმე.
ასე და ამ რიგად ფუჭდება და ირ
ყევა ოჯახის სიწმინდე, ჩვენებური
დედაკაცის ნაქები სინიდისი, ზე
მეტი ავადმყოფობა და მისი გავრც
ლება!.. ნუ თუ ვინმე ღვთისნიერ
ადამიანი არ გამოჩნდება, რომ ამა
ყურადღება მიაქციოს!.. ის აღარ
გვეყო, რომ ქალაქები გაგვირყვნეს
რომ ეხლა სოფლად არ 'გვასვენებე
და სულიან-ხორციანად რყვნიან დ
ხრწნიან ჩვენის გლეხ-კაცობის დე
დაბოძს—დიასახლისს?! ვისაც ყურ
თა სმენა აქვთ, ისმინონ!

სტუმარი

⁂ **ქ. გორი. პური გვჭირს, ჯა
ბე გვიჭირავს.** ჩვენმა ქალაქის თვით
მმართველობამ გაიგო თუ არა ტფი
ლისის საბჭოს განაჩენი პურის ნიხ
რის შესახებ, მაშინვე წაჰბაძა მა
და, მეპურეთა თხოვნის თანახმად
ასწია პურის ნიხრი. ეხლა გაზეთები
ვტყობილობთ, რომ ტფილისში გ
უხშირეს უვარგისის პურის ცხობა
განსაკუთრებით მესამე ხარისხის
რომელსაც ფასი მოუმატესო. წარ
მოიდგინეთ, ჩვენც, გორელებიც
დღეში ვართ: აქნობამდე რიგიან
პურს აცხობდნენ ჩვენი მეფურნე
ბი, ეხლა-კი, როდესაც ფასი მეტ
ეძლევათ, რაღაც ღმერთი უწყრება
და სრულებით გამოუცხვარსა დ
მჟავე პურს გვაჭმევენ... ჩვენი ქალა
ქის თვით მმართველობას კი დაუჟინ
«რა გაეწყობა, სლუჩის საქმეაო!»..
რა თქმა უნდა, ტფილისი გორი
სთანა ქალაქებთან შედარებით დი
დი რამ არის და თუ მთელი კავკა
სიის ქალაქებს იგი მეთაურად მია
ნიათ, ჩვენც უნდა წავბაძოთ მ
ხოლმე, მაგრამ ნიხრის საქმეებში არ
ფრად გამოგვადგება მისი მაგალით
ბი.
ტფილისელებმა რამდენიც უნდ
იმდენი უმატონ პურის ნიხრს
მიირთვან მჟავე პური, ქატო და
ხერხ ნარევი, ჩვენ-კი დაგვიხსენ
ამ გასაჭირიდამ... შეიცოდეთ უ
სოდაც ჩათხლეშული ჩვენი ჯი
და ნუ გვისნეულებთ კუჭს, თორ
ქვეყნის ოქმებიც რომ შეადგინ
ვერას გვიშველით.

— **ისაა აღიჩ მოხარულია.** ჩვენი ქალ
ქის თვით მმართველობა სიხარულ
მიწაზე ფეხს აღარ სდგამს, ეხლა
ინც ველარ დაგვემდურებიან ქუჩებ
უსუფთაობაზედო! მართლაც, ისე
თოვლ-ქყაპი დგას, რომ ისაა აღიჩ
შიგ ამოგორდეს, მაინც ვერ ამოა
რობს. მადლობა ღმერთსო, გაიძახ
ისაი აღიჩი, ეს ხომ მაინც ჩემი ბრ
ლი არ არისო?...

— **მოსალოდნელი ამბავი.** იქ
მოვკარი ყური, რომ გორის მო
რავი თავს ანებებს სამსახურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ამბობს, თურმე: „შეიძლება ამათთანა ხალხთან კაცი გაილანძღოს და ისა სჯობია ამ თავითვე მოვკურცხლოვო!»

მა—ია.

დ. სამეგრელო (იმერეთი). **უბედური შემთხვევა.** 9 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე აქ მოხდა შემდეგი: ბ. სერებრიაკოვის ხე-ტყით დატვირთული ღია ვაგონები მოდიოდნენ საჭილაოდამ, სამი კონდუქტორები წინ იდგნენ იმ ვაგონზედ, რომელსაც ჰქონდა ფიცრებისაგან დარჩენილი ცარიელი ადგილი, ერთი არშინის სიგრძე. მატარებელი შემოვიდა სადგურზედ თუ არა, ვაგონის ბორბალი გადავარდა ლიანდაგიდგან. ამ დროს წამოჩოჩდა დატვირთული ფიცრები და ორმა კონდუქტორმა მიასწრო და გადახტნენ კიდეც, ხოლო ობერ-კონდუქტორმა ა. გაწერელიამ ვეღარ მოასწრო და მუხლები ჩარჩა ვაგონის ფიცარსა და ხე-ტყის შუა და გულ აღმა იყო გადმოკიდებული. მეტად საზარო სანახავი იყო, როცა საბრალო კონდუქტორი ყვიროდა. მისცვივდნენ მაშინათვე და ვაგონის ფიცარი გამოანგრიეს და გამოიყვანეს მუხლებ დამტვრეული კაცი. კონდუქტორებმა წაიყვანეს რკინის გზის ავადმყოფთა საშინჯ ოთახში. ამ დროს შემობრძანდა, სადგურის უფროსი ბორიჩევსკი და სამი-ოთხი სილა იმისთანა კი უთავაზა კონდუქტორს პეტრეჩენკოვს, რომ თქვენი მოწონებული და გააგდო კარში. შემდეგ სხვებიც გაყარა. როგორც ამბობენ, ბ. ბარიჩევსკის და გაწერელიის რაღაც უკმაყოფილება ჰქონიათ ერთმანეთ შორის. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში გაგზავნეს. გაწერელია 19 წელიწადია რაც რკინის გზაში მსახურებს, მაგრამ არა ვითარი ცუდი შემთხვევა არ შეხვედრია, ხოლო ბ. ბარიჩევსკის უწეს-რიგო საქციელი მეტად საწყენად დარჩა: გაჭირვებულის მომხმარეს გალახვა ეკუთნოდა, თუ მადლობა?!.

ალ. მ—იანცი

⁂ **დ. ხაშური. სამსა გროშიც დიდი ფულია!** ხაშურში იმყოფება რკინის გზაში მოსამსახურე, სამასამდე ქართველი კონდუქტორი. უმეტესობას თავისუფალი დრო გადაუდევიათ ლოთობისა და ბანქობანასთვის, ხოლო ოციოდე დარბაისელი ამაებს გვერდს უვლიან და თავისუფალ დროს წიგნის კითხვაში ატარებენ.

დიდად სასიამოვნო იქნებოდა რომ იმ მოქეიფე ვაჟბატონებსაც ამათთვის მიებაძათ და ყველას ერთად, სამას კაცს წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაეარსებინათ, რომლის შენახვაც მათთვის დიდი გასაჭირი არ იქნებოდა. თითოეულმა წლიურად რომ ათ-ათი შაური მაინც გადადოს, 150 მანეთს შეადგენს, რაიც წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმეს კარგად წაიყვანს. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ საქმე თვითონ თავისთავად არ წავა, ამას დამწყები «მეთაური» უნდა, რომლის მოვალეობასაც ბ. ფანცულაია რომ იკისრებდეს და განახორციელებდეს ამ საქმეს, დიდი მადლობის ღირსი იქნებოდა.

⁂ **დ. ზესტაფონი. სასწორ-საწყაოთა გასწორება.** ამას წინაზე აქ ჩამოვიდნენ, ქალაქის მმართველობისაგან გამოგზავნილნი, რამდენიმე კაცები, რომლებმაც შეასწორეს, როგორც ადგილობრივ მოვაჭრეების, ისე გარე სოფლის ვაჭრების, სასწორ-გირები და თუ ოდნავ მეტ ნაკლები გამოდგებოდა, კრძალავდნენ; კარგს კი თავიანთ ბეჭედს ურტყამდნენ. (К. Г. У. 97.) გირებთან ერთად ასწორებდნენ ალაბს და ნავთის და სასმელების სარწყავებსაც. ეს ამბავი ყველას სასიამოვნოდ დარჩა, ნამეტურ კი, სოფლის ხალხს, რომლებსაც ზოგიერთი ჩარჩი ვაჟბატონები პარავდენ წონაში და მით ყველა ვაჭრებს ჩირქსა სცხებდა. მაგალითად ერთი ვაჟ-ბატონთაგანი ფუთი ნავთის მაგივრად ჰყიდდა 38 გირვანქას. და რომ გეკითხათ ამას რათ შვრებიო, ურცხვად გიპასუხებდა—ჩემი ფუთიინი სარწყაო ეს არის და თუ გინდა წაიღეო და თუ არა მიბრძანდიო. გარდა ამისა ერთი ვაჟ-ბატონთაგანი არშინშიაც კი იპარავდა, ეს მიტომ რომ, ის ახალი ჩამოსული იყო ზესტაფონში, და სამაგიეროდ ნაკლებ ფასშიაც ჰყიდდა, რომ მით მუშტარი მიეჩვია. ამ გვარი საქციელი მის მეზობელ ვაჭრებმა გაუგეს და ერთ დღესაც კარგად „შეფახეს“ —ჩვენ რაღათ გვიხდენ სახელსაო!..

დღეს ამაებს ბოლო მოეღო, მაგრამ ამათ ნაცვლად კი ვიღაც რაჭველებმა იჩინეს თავი, რომლებიც ყოველ ზამთრობით ჩამოდიან და ჩამოაქვთ საჩოხე შალები გასაყიდათ თვიანთ საზომავ „წყდით“ ჩვენს ხალხს, რომლებიც ალაბზედ არიან მიჩვეულნი არა გაეგებათ-რა «წყდისა» და ისინივე იმით სარგებლობენ და თავიანთ ნებაზე ათამაშებენ მუშტრებს. გასაკვირალი ეს არის, რომ მათი „წყდა“ ზომით ერთმანეთზე მეტ ნაკლები არის.

იმედია ამ გარემოებასაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და აუკრძალავს ამ ვაჟბატონებს რაღაც მათებურ საზომით შალების გაყიდვას.

ქარ-ცეცხლი

⁂ **ბათუმი. ბათუმის მუშათა „არტელის“ საქმე.** ამა დეკემბრის 7-ს, როგორც იყო, მესამე გამოცხადების შემდეგ, შედგა კრება, ბათომის მუშათა „არტელის“ წევრთა; ამ კრებაზედ თანახმად წესდების 56-ის მუხლისა არჩეულ იქმნა „სტაროსტა“-დ ბ. ნიკოლოზ კიკაბიძე, ახალ გაზდა კაცი, ნიკო ცომაიას მაგიერად და რევიზიის კამისია, რადგან ანგარიშები არ არის გაშინჯული, ისევ მიენდო ბ. თ. თოფურიას, მ. სადრაძეს და ი. მგელაძეს.

იმედი გვაქვს ახლად არჩეული პირები ყოველივე ღონეს იხმარებენ რათა „არტელის“ საქმეები დაწინაურდეს. ხოლო წარსული რვა წლის არევ-დარევას ვივიწყებთ. სასიხარულოდ „არტელისა“ ბ. კიკაბიძემ უკვე აიღო „აზოვის საზოგადოების“ გემების დაცლა-დატვირთვა ბათომში. ღმერთმა ჰქნას ეხლა მაინც რიგიანად იქნეს წაჩხუბული «არტელის» საქმე, რომელსაც რამოდენიმე ასი ქართველი და სხვა მრავალი მუშა შეჰყურებ'ა...

⁂ **ფოთი. ისევ სამკითხველოს საჭიროებაზე.** ამას წინათ თქვენ პატივცემულ გაზეთ «ცნობის ფურცელში» ფრიად სასიამოვნო ამბავი ამოვიკითხე, რომ ბ-ნნ ა. ხოშტარიას და გიორგი საბახტარაშვილის თაოსნობით ქართული საზოგადო სამკითხველო არსდებაო. საზოგადოების აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და ყვლა ერთ ხმათ გაიძახოდა: მადლ(ი)ბა ღმერთს, რომ ეხლა მაინც გვეღირსა ფოთში სამკითხველოს დაარსებაო, და ვინ იცის, თუ რა რიგად ლოცავდენ ზემოხსენებულ პირებს და მათ ცოლშვილს. ერთხანად სამკითხველოზე ახალგაზდობაც ზრუნავდა და სხვათა შორის მახსოვს კიდევაც, რომ შარშანწინ აქაურმა ახალგაზდებმა კოხრეიძემ და კიკვაძემ ითავეს ეს კეთილი საქმე და თხოვნა შეიტანეს ქალაქის საბჭოში, რომ ქალაქს ასეთი სასარგებლო აუცილებელ დაწესებულებისათვის რამე ღონე ეღონა. მართლაც, მათი თხოვნა იქნა შეწყნარებული და საბჭომ ერთ ხმათ გადაწყვიტა, რომ ეძლიოს 300 მანეთი ყოველ წლივ ქალაქის მხრივ სამკითხველოს სასარგებლოთო. მაგრამ ხომ გაგიგონიათ ბატონებო ანდაზა: «უიღბლო კაცს ქვა ალმართში დაეწიაო» სწორეთ ეგრე დაემართათ ამ ჩვენ მშრომელ ახალგაზდებს რადგანაც ეს საბჭოს გადაწყვეტილი სამასი მანეთი მიაბარეს თურმე აქაურ სამოქალაქო სასწავლებელის ინსპექტორს, რომელმაც თავისი კერძო მხრის დახმარების მაგივრათ ეს საბჭოს წყალობა 300 მანეთიც სხვა საგნის მოსახმარებლათ უფრო საჭიროთ სცნო და კიდევაც მოახმარა და ჩვენ დავრჩით უბიბლიოტეკოთ! ზემოდ ხსენებულ პირთა განზრახვაც დარჩა. შენობა კი არა, წიგნებისა არა ისმისრა. სხვა არა იყოსრა, სირცხვილია ქალაქ ფოთს სადაც ელექტრონით განათება უნდა შემოიღონ, სამკითხველო არ იყოს.

ნიკო ჩიჩუა

⁂ **ს. ნოსირი.** (სამეგრელო) **ქორწილში კაცის მოკვლა.** 30 წარსულ ნოემბერში ამ სოფელში, ერთს აქაურ მცხოვრებს ქორწილი ჰქონდა, სადაც უნებლიედ ერთი კაცი შემოაკვდა იქაურს მცხოვრებს, გვარად კი—ას, რომელიც თურმე, ხანჯალ ამოღებული სხვა კაცთან მიდიოდა რადგან შეურაცყოფა მიუყენებიათ მისთვის. მიმავალს კი-ას დასამშვიდებლად დაუხვდა საწყალი მოკლული და უნებლიეთ მოხვდა ხანჯალი რომელმაც იქვე განუტევა სული. გამოძიება სწარმოებს...

კოლხიდელი

⁂ **ს. ამაღლება** (გურია). **ხალხის დაქვეითების მიზეზი.** ვინც ცოტად თუ ბევრად თვალს ადევნებს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, ეცოდინება, თუ როგორ წაიწია გურიამ სწავლა-განათლებით ამ უკანასკნელ ხანებში, მაგრამ ყველგან ერთნაირად როდია დაწინაურებული გურიის სოფლები, მაგალითად: ამაღლების საზოგადოება, რომელიც კომლთა რაოდენობით და მკვიდრთა გამრჯელობით და მეცადინეობით არ ჩამოუვარდება სხვა გურიის სოფლებს, მაგრამ სწავლა-განათლებით და ნივთიერად ძლიერ ჩამორჩენილია; ამის მიზეზი უმთავრესად არის ადგილობრივ მცოდნე და გულ შემატკივარ პირთა არ ყოლაზედ მეტი ათასი სხვა და პირადი სარგებლობის მაძიებელნი და ბეჩავი ხალხის დამვიწროებელი პირები. კერძოდ-კი ამაღლების დაქვეითება უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ იგი ვიღაც ხარისხოვანი პირის მეოხებით ძალზე დავალიანებულია. აგერ ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია და დღესაც ვერ მოუშორებია ის ვალი, რომლის არც თავი და არც ბოლო იცის ხალხმა, რადგან ფულებთან არავითარი საქმე არ ჰქონია. მოგეხსენებათ გლეხი კაცის სიღარიბე: არც ერთი მხრიდგან შემოსავალი არ აქვს, მუშაობს სხვის მამულში: ძალიან მარჯვე კაცი უნდა, რომ იმდენი მოიწიოს, რომ თავისი ოჯახი არჩინოს და გასასყიდათაც გადარჩეს, რათა შეეძლოს ხელმწიფის, მღვდლის, მწერლის, მასწავლებლის, მტერის და მოყვარის გასტუმრება და დანარჩენით ჩაცმა დახურვა. ბევრი მუშა-გლეხი პირველ მოთხოვნილებას—შიმშილსაც-კი ვერ იკმაყოფილებს. რასაკვირველია, მაგისთანა ხალხისთვის ძნელია 20—25 მანეთის გადახდა და მაგისთვის არის, რომ ოთხი წელიწადია ვერ შეიძლეს გადახდა და ყოველგვარ დამცირებას, ძალ-დატანებას და ცოლ-შვილის აწიოკებას ითმენენ სოფლის მოხელეთაგან. ცხადია, რომ ისე დაცემულს ხალხს, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონდეს, სწავლა-განათლებისა არ სცხელა, მეტადრე თუ ეგ სწავლა ხარჯს მოითხოვს. კიდევაც ასეა: 1893 წელს ხალხის თხოვნისამებრ მთავრობამ ორ-კლასიანი სასწავლებლის დაარსების ნება მოგვცა, ხოლო, რადგან იმ წელშივე სოფელს გადასახადით სხვისი ვალი დაედო, სასწავლებლის საქმე უყურადღებოდ დარჩა, ხოლო ხალხს-კი გული გაუტყდა, აბრუ წაუხდა და ეხლა არავისი არა სჯერა-რა. რაც შეეხება ქაღალდს და ხელის მოწერას—ისეა დაშინებული წინანდელის ხელის მოწერით, მილიონები რომ შეაძლიოთ, ხელს არაფერზე არ მოგიწერთ. აი სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ მიზეზი, რომ დღეს ამაღლება სხვა სოფლებზე ძლიერ ჩამორჩენილია ყველაფრით... ერთხელ ფაფაზე პირ-დამწვარი, შემდეგ ყველაფერს უბერავს ხოლმე... ბევრი ცდა და მეცადინეობა უნდა, რომ ხალხს გული გაუგრილონ...

ამაღლებელი ბიჭია

⁂ **გარე-კახეთი.** **პირუტყვია თუ ადამიანი?!** (სოფლის სურათებიდან) ნახევარი წელიწადია რაც დაქვრივდა სოფიკო უნდოშვილისა; დარჩა ერთათ ერთი წლის ერთი ბავშვი; მახლობელი ნათესავები არავინა ჰყავს და დედამთილ-მამამთილი კი ქმრის სიცოცხლეშივე აღარა ჰყავნდა. თვით ახალ-გაზდა, ცქრიალა და ჯან-ღონით სავსე დათურაშ-ვაშლებული ქვრივია. საბრალო სოფიკოზე ჯერ ქმრის სიცოცხლეშივე ეჭირათ თვალი და ეხლა კი, როდესაც ქმარი აღარა ჰყავს, თითქოს შ[illegible]აბრებულნი არიანო, დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევენ; მასზე ხომ მთელი სოფელი მღერის საარშიყო შაირებს..

ნოემბრის ხუთშაბათს, ღამე, ცხენით ერთი ვიღაცა კაცი მიადგა ქვრივ სოფიკოს კარებზე, რომელიც მარტოთ მარტო ბავშვით ცხოვრებდა ქმრისგან დაშთენილს ფიცრულში (სახლში).

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. სოფლის ხალხს თითქმის ყველას ეძინა; ხმაურობა არსად ისმოდა. სწორედ ამ სიჩუმის დროს მოესმა მძი ნარე სოფიოს ფანჯრის რაკუნი. შეშინებულმა სოფიომ თვალები აჭყიტა, აცქვიტა ყურები და მთლად კანკალმა აიტანა...

— ვინ არის? ჰკითხა სოფიკომ.

რაკუნი განმეორდა.

— ვინ არის?—ჰკითხა კიდევ სოფიკომ აკანკალებულის ხმით.

— მე ვარ, შენ გენაცვალე, მე! მოისმა კაცის დაალერსებული ხმა.—კარი გამიღე.

— ვინ შენ?... რა გინდა, ამ დროს... წყალსაც კი სძინავს!... რას ეძებ?—ეკითხებოდა სოფიკო აბნევით.

— შენ... შენ... გამიღე და გეტყვი.

სოფიკომ სული განაბა და გულის ბაგა-ბუგით მოელოდა შედეგს.

— კარი მეთქი, ქალო, არ გესმის?! და ამასთანავე ფანჯარა ძლიერად მოაჯახუნა.

— დაიკარგე, მამაჩემი არ წამიწყდება, თორე...

— ნუ, ნუ ჯავრობ! ისმოდა აკანკალებული ხმა და ჯაჯგური. სცდილობდა ფანჯრის გაღებას.

სოფიკო სდუმდა...

ფანჯარა კიდევ ძლიერად მორახუნდა...

— მაშ ნებით არ აღებ კარებს? მაშ კარგი, ეხლა მე ვიცი.

ამ სიტყვებთან ერთად ძლიერად მოაწვა კარებს...

— გააღე მეთქი! შემოისმა და კარებს წიხლი მოარტყა... კარებს ძალი ადგებოდა...

სოფიკო წამოხტა და კუნჭულისკენ მიიკუნჭა. ბავშვი კი მძიმეთ ფშვინავდა...

კარებმა ბრახვანი მოიღო და შიგნით შემოვარდა გაფთრებული კაცი.

სოფიკომ შეჰკივლა, მაგრამ მალე იგრძნო მან თავისი თავი გამხეცებულ კაცის მკლავების შორის, რომელიც მტაცებელივით გახელებული ლოშნიდა და გულზედ იკრავდა...

— შემიბრალე... ნამუსს ნუ ამხდი... მოიგონე მშობელი... ცოლი.. დაი...

მაგრამ ვნებათა ღელვით შეპყრობილ-გატაცებულს კაცს არ ესმოდა მუდარება სუსტი არსებისა...

მეორე დღეს მამასახლისმა და რამდენიმე სოფლის მოწინავე კაცებმა, ვითომ და ჩვენებაო, სიცილ-ოხუნჯობით ჰკითხეს სოფიკოს:

— ძალა იხმარა!?.. მერე როგორ დაჰთანხმდი, რატო ტვინი არ შეასხი ზედა!...

სოფიკომ თავი დაღუნა და ქვეშქვეშ შეჰყურა; შეურაცხყოფილს ცრემლებით თვალები უბრწყინავდა; ამ დროს მისი სახის გამომეტყველება გამოსთქმიდა: „გამაუპატიურეს და თქვენც მარცხვენთო!. ზიდეთ ჩემი ცოდო!.. თქვენც წილი გექნებათ ჩემს თავ ლაფ-დასხმაშიო..

— იქ|ება პირუტყვი იყო?! წაილაპარაკა თავისთვის ერთმა მოხუცმა და მერე ჰკითხა სოფიკოს: მაინც ვერ იცანი ვინ იყო?

სოფიკომ, ძლივ-ძლივობით, ცოტა სიძნელის შემდეგ წამოაყრანტალა:

— კაცი!...

სოფელს ელვასავით მოედვა სოფიოს გაუპატიურების ამბავი; არ

ერიდებიან და ხშირად პირშიაც კი სძრახავენ. მამასახლისი და სოფლის მოწინავენი კი ამაზე ყურსაც არ იბერტყენ...

ხაშმელი სოსიკა

რედაქციისაგან

ყულისკარში. სვიმონ კ—ვას. სასულიერო წოდებაზე განკიცხვის წერილი ძნელად დაიბეჭდება. გირჩევთ ისევ მათს უფროსს მიჰმართოთ საჩივრით.

ოზურგეთში. იას. მართალია, ნოქრები გაიძახოდნენ კვირა უქმეს თავისუფლება მისთვის გვინდა, რომ ეკლესიაში ვიაროთო და ესმა თქვენის წერილიდან სჩანს, რომ არ დადიან სალოცავად, მაგრამ, რაკი ვაჭრებს ერთხელ მიანიჭეს თავისუფლება, დეე თვითონ ნოქრების სინდისმა გადაწყვიტოს, რას მოახმაროს თავისუფლება ლოცვის მოსმენას თუ სხვა რამ ზნეობრივს თუ უზნეო გართობას. თავისუფლება მით არის კარგი, რომ როგორც გვინდა, ისე მოვიქცეთ!

ტფილისში. ნიკორწმინდელს. ყარამან ლეჟავას მკვლელობაზე ჩვენს გაზეთში სწორედ ამ ერთის თვის წინედ იყო ცნობა დაბეჭდილი.

სამეურნეო დარიგება

რომელი საჭმელი უნდა ვაჭამოთ, რომ ქათმებმა ბევრი კვერცხი დასდონ? გამოცდილი მექათმეები წლის განმავლობაში, აი რა საშუალებასა ხმარობენ: ყველაზე უწინ, სიცივეს დამდეგს თბილ ოთახებში ჰყავთ და რბილი საჭმელით ჰკვებენ. ამასთან დრო გამოშვებით საჭმელს კიდევ სისხლის აღმძვრელს ნივთებს უმატებენ: პილპილს, მდოგვს, მარილს, კანაფის თესლს, პურს ღვინოში ან ლუდში ჩასველებულს და სხვ. ინგლისელი მექათმენი ცხენის ხორცითაც კვებავენ ქათმებს. ამნაირად ნაკვები ქათმები სულ ცოტა ხნის განმავლობაში ძრიელ ბევრს კვერცხსა სდებენ. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ხელოვნურად კვება მხოლოთ მაშინ არის სასარგებლო, როცა გვინდა ბევრი კვერცხები დავადებინოთ გასასყიდლად და არა წიწილების გამოსაჩეკად. ბევრი კვერცხის დება ძრიელ ღალავს ფრინველს და ძალას აცლის. ამიტომ თუ კვერცხები წიწილების გამოსაჩეკად გვინდა, ზემოხსენებულს საშუალებას არას დროს არ უნდა მივმართოთ.

გაბო

სამეცნიერო ცნობა

ქალის ხელები. ამას წინედ გამოვიდა ერთი ფრიად საინტერესო წიგნი ლ. გესმანისა: ქალის ხელი და მისი მნიშვნელობა ქალის ხასიათის გამოსაცნობლად. წიგნის თავში ავტორი ამბობს: „სახე სარკეა სულისა, და ხელი ხასიათისაო“. წინასიტყვაობაში ავტორს გალლეის სიტყვები მოჰყავს, რომელიც ამბობს, რომ „ხელი უმთავრესი და პირველი ნაწილია კაცის სულისაო“, აგრეთვე ჩვენ ვიცით, რომ არისტოტელმა, ანაქსაგორმა და ბევრმა სხვებმაც მთელი თხზულებები უძღვნეს ამ საგანს და ამ კითხვის შესწავლას.

«ჩვენ ვიცით, განაგრძობს ავტორი, რომ ქალებს და კაცებს სხვა და სხვა ფორმის ხელები აქვთ, მაგრამ 100 კაცში 5% ერთნაირი, მაშინ როდესაც 100 ქალში 12%-იო“

ქალების ხელები სამ გვარად იყოფება. მაგალითად ევროპაში 1000 ქალში 320 ქალის ხელებს წვეტიანი ფორმა აქვს, 330 კუთხიანი და 110 ნიჩბის მსგავსი (ე. ი. თითების ზემო სახსრები ცოტათი განიერებულია). აქედგან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ნახევარზე მეტი ევროპის ქალები ან ხელოვნებას მისდევენ, ანუ მისი ნიჭი აქვთ. მესამედ ნაწილზე ცოტა მეტს აქვთ გამსჭვრეტი მამა კაცის მსგავსი ჭკუა და თითქმის მეათედი ნაწილი ქალებისა უახლოვდებიან მამა-კაცებს ჭკუით.

იმ ქალებს, რომელთაც წვეტიანი ფორმის ხელები აქვთ, აგრეთვე იმათ ქალების ყოველი თვისებანი ეტყობათ, როგორც კარგები ისე ცუდებიც. ამ გვარი ხელი ნიშნავს ქარაფშუტობას, გარყვნილობას და ვნებიან სიყვარულს. თუ ამ გვარი ფორმის ხელი ამასთან თეთრია, ფუნჩულა, ლამაზი და რბილი, მაგრამ პატარა, ეს ნიშანია იმ ქალისა, რომელიც მხოლო „სიყვარულისათვის“ არის გაჩენილი. ამ გვარი ქალები, უმეტესს შემთხვევაში, მოკლებულნი არიან ყოველს სერიოზულს შესმენას სიცოცხლისას; ვერ ასრულებენ თავის დანიშნულება-მოვალეობას და სისწორით არ იცავენ ცოლ-ქმრობის წმინდა კავშირსაო.

ის ქალები, რომელთაც აქვთ კუთხიანი და ნაზი ხელები საუკეთესო ცოლებად ითვლებიან. ესენი კმაყოფილდებიან მარტო ქმრის სიყვარულით და კეთილ სინდისიერ და პატიოსნის ქალის მაგალითს წარმოგვიდგენენ. ნიჩბის მსგავსი ხელებიანი ქალები ძრიელ წააგვანან პირველ დასის ქალებს.

ქ. გაბო

სხვა-და-სხვა ამბავი

უწესობა თეატრში, წარმოდგენის დროს. 5 დეკემბერს პარიზის ერთს თეატრში («Rénaissance») რომელიც გამოჩენილ არტისტ ქალს სარა ბერნარს ეკუთვნის, როდესაც სოციალისტთა წინააღმდეგის ოქტავ მირბოს პიესას თამაშობდნენ, ასტყდა აურ-ზაური. სარა ბერნარი, რომელიც იმ ღამეს, თურმე, თამაშობდა, ამაოდ სცდილობდა მეამბოხეთა დამშვიდებას და იძულებულნი შეიქმნენ წარმოდგენა შეეწყვიტათ.

* * *

მსახიობის მოკვლა თეატრში. ლონდონის თეატრის «Adelphi»-ს ერთს ბნელს კუთხეში, ამ თეატრის მსახურმა [illegible], დანით მოუკლავს სახელოვანი აქტორი ტერისსი. მკვლელი ამბობს: ამიტომ მოვკალი ტერისსი, რომ[illegible]ან უარი მითხრა თეატრის თანხიდამ შემწეობის მოცემაზედაო.

წვრილი ამბავი

დუელი გაზეთების რედაქტორთა შორის. ამ ბოლო დროს ფრიად სამწუხარო ამბები მოიტანეს გაზეთებმა რუმინიიდამ. რედაქტორი მათის საუკეთესო გაზეთისა გიორგი ლაკოვარი დიდის პოლემიკისა და უსიამოვნობის შემდეგ გაზეთ „ერისას“ კონსერვატორ რედაქტორ ნიკოლოზ ფილიპესკისთან, ხმალში გასულა, სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა.

* * *

წერილი საიქიოდამ. რუსეთს, ქ. კურსკში ამ ორი-სამის წლის წინად გარდაიცვალა ერთი კარგა მდიდარი ვაჭარი, რომელმაც თავის ქონება საქველმოქმედო საგნებს უანდერძა და დარჩა ქვრივი. ოთხის თვის შემდეგ მოსკოვიდამ ქვრივს ფოსტით წერილი მოუვიდა, რომელშიაც ათასი მანათი ეწყო. ქვრივმა გახსნა თუ არა წერილი, საშინლად შეკრთა: წერილი მისის გარდაცვალებულის ქმრისაგან იყო გამოგზავნილი. მაშინვე მოუყარა თავი მეზობლებს და ნათესავებს და შეუდგნენ თათბირს: როგორ მოხდა, რომ საბრალო ი. მოსკოვიდამ იწერება, როდესაც იგი კურსკში დავასაფლავეთო? ან ფული ვინ მისცა იქ? ჩვენ ხომ ერთი კაპეიკიც არ ჩავატანებია სამარეშიო. ქმარი იწერებოდა: ძალიან მიჭირს ახალს სოფელში ცხოვრებაო და სთხოვს შემავედრე უფალს, რომ შენთან დამაბრუნოს, შენ მე ისევ ისე ძრიელ მიყვარხარ, როგორც სიცოცხლეშივე მიყვარდიო და სხვა. გავლო კიდევ ხუთმა თვემ და ისევ მიიღო ქვრივმა საიქიოდამ ფულიანი წერილი. რასაკვირველია, ქვრივს მეტის მეტად შეჰყვარებია თავისი მიცვალებული ქმარი. წარმოიდგინეთ, ისე შეჰყვარებია, რომ ცოცხალიც არა ჰყვარებია იმდენად. მას აქეთ, წელიწადში 2—3 ჯერ თურმე მოსდის ქმრისაგან მოკითხვის წერილები და ფულებს უგზავნის. სხვათა შორის ქმარი, თურმე, სწერს ცოლს—ეს და ეს საქველ მოქმედო საქმე მოახმარეო, აქა და ამ მონასტერში მიდი სალოცველად ჩემის სულის მოსახსენებლად და სხვ.

ეჭვს გარეშე, რომ ქმარს ძრიელ ჰყვარებია თავისი ტურფა ცოლი და სიკვდილის წინ დაუმზადებია წერილები, ფულებიანად ჩაუბარებია ერთ-ერთის მეგობრისათვის და უთხოვნია დანიშნულს დროს ეგ წერილები ჩემ ცოლს გაუგზავნე ხოლმე და ფულებიც თან გააყოლეო.

ერთგული ქმარიც ასეთი უნდა! სამარიდამაც არ ანებებს თავს ცოლს.

განცხადებანი

ახალგაზრდა ქართველი
აძლევს მსურველთ გაკვეთილს
ფრანგულ ენისას
(თეორია და პრაქტიკა)
ადრესი „ცნ. ფურც.“-ს რედაქციაში
(12—7)

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
თ. სახოკიას შედგენილი
რუსულ-ქართული
ლექსიკონი
ფასი 20 კ.

სადაზღვევო საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში
ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს:
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის ძე სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2.
Страховое Общество „ЯКОРЬ“
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: Страхованіе отъ огня, страхованіе жизни и капиталовъ страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.
(100—81)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
* * * ფასი მასალებისა მეტად იაფია * * *
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—268)

Гостиница
„ЮЖНЫЕ НОМЕРА“
въ центрѣ города,
номера отъ 50 коп.
и дороже, обѣдъ
отъ 30 коп.

სასტუმრო და ბუფეტი
იუჟნი ნომრები
ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის გვერდზედ ბარონის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში, № 14.
სასტუმროს აქვს 35 სუფთად მოწყობილი ნომერი დღიურად 50 კაპ., ვიდრე 3 მანათამდე, თვიურ[illegible] ნაკლებ.

სასტუმრო არის ნაქები,
მორთული, როგორც ქალია,
მოყვასს მისს ხილვა უხარის,
მტერს-კი უდგება თვალია!

მობრძანდით ერთხელ, გაიგეთ,
ჩვენი რიგი და წესია:
სადილ-ვახშამი იაფი,
ნომრები უმეტესია!

მუდამ-ჟამს თევზი ცოცხალი
საჭმელ-სასმელი ტკბილია,
ამას არ სტყუის, თქვენმა მზემ,
აბრამიშვილი ილია!
(24—23)

სტამბა ექ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი მალ. ბუნია